European Association for Local Democracy

# ALDA მონაწილეობდა CORLEAP-ის მე-12 ყოველწლიურ შეხვედრაზე: დემოკრატიის გაძლიერება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მოქალაქეთა ჩართულობით

ევროპის რეგიონთა და თვითმმართველობათა კომიტეტის აღმოსავლეთ პარტნიორობის კონფერენციის - (CORLEAP) მე-12 ყოველწლიური შეხვედრა ეხებოდა მსოფლიოში მნიშვნელოვან და აქტუალურ თემას. 2023 წლის 7 და 8 სექტემბერს, საქართველოში, ქალაქ ბათუმში, ჩატარდა მაღალი დონის ღონისძიება, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნებში ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის არსებულ დიალოგს შეეხო.

დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებით, ადგილობრივი დემოკრატია უზრუნველყოფს ფართო დემოკრატიული ქსელის მდგრადობას და სიცოცხლისუნარიანობას. სულ უფრო ნათელი ხდება, რომ დემოკრატიის მთავარი ძალა მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობაში მდგომარეობს.

CORLEAP-ის ყოველწლიურ შეხვედრაზე ხაზი გაესვა აქტიური ჩართულობით მიღწეული უკეთესი დემოკრატიის აუცილებლობას. ღონისძიების მიზანი იყო ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ჩართულობის გაძლიერება, დეცენტრალიზებული თანამშრომლობის გაღრმავება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (EaP), ადგილობრივი დემოკრატიის ხელშეწყობა, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების თანამშრომლობის ახალი გზების შესწავლა პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით.

Office in Strasbourg
Council of Europe 1,
Av. de l'Europe
F-67075 Strasbourg, France
+33 3 90 21 45 93
aldastrasbourg@alda-europe.eu

Office in Brussels
26 rue de la Loi,
Mercator Building
4th Floor - Salon for European Civic Organisations
Brussels 1040, Belgium
aldabrussels@alda-europe.eu

Office in Vicenza
Viale Milano 36
36100 Vicenza, Italy
+39 04 44 54 01 46
aldavicenza@alda-europe.eu

Office in Skopje
Bld. Partizanski Odredi
43B/1-5
Skopje, 1000
North Macedonia
+389 (0) 2 6091 060
aldaskopje@alda-europe.eu

Office in Chisinau
Str. București Nr. 93 Of. 3.
Chișinău, MD-2012
Republic of Moldova
aldamoldova@alda-europe.eu

Office in Tunis
Rue Brahim Jaffel,
Imm. Azaiez
2 floor, Apt 4 El Menzah 4,
Tunis 1082, Tunisia
aldatunisia@alda-europe.eu

www.alda-europe.eu | alda@alda-europe.eu | ALDA.Europe | ALDAeurope | aldaeurope | AldaEu

ALDA-ს გენერალური მდივანი, ქალბატონი ანტონელა ვალმორბიდა, გახლდათ ღონისძიების პანელის "ადგილობრივი ხელისუფლების დიალოგი მოქალაქეებთან აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში" ერთ-ერთი მომხსენებელი. მან ისაუბრა ადგილობრივ დემოკრატიასა და მოქალაქეთა ჩართულობაზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. ქალბატონმა ვალმორბიდამ ყურადღება გაამახვილა პრაქტიკულ გამოცდილებაზე და ALDA-ს მიერ ადგილობრივი დემოკრატიის გაძლიერების მიმართულებით ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ გაწეულ სამუშაოებზე და მიღწეულ შედეგებზე.

ALDA-სა და CORLEAP-ის სტრატეგიული თანამშრომლობით ნათელი გახდა საერთო მიზნის ძალა. ერთი და იმავე პრიორიტეტების მქონე დაწესებულებებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში პოლიტიკური მუშაობისა და განვითარების პროგრესში.

CORLEAP-ის მე-12 ყოველწლიური ღონისძიებით შესაძლებელი გახდა ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.

შეხვედრა წამოადგენდა უნიკალურ პლატფორმას, რომელმაც არსებული გამოწვევების გადაჭრის გზებისა და სამომავლო გეგმების განსაზღვრას შეუწყო ხელი. მოქალაქეთა აქტიური ჩართულობა არ არის მხოლოდ მოქმედებისკენ მოწოდება; ეს არის მდგრადი და პოზიტიური ცვლილების კატალიზატორი.